ASB საქართველო წლიური ანგარიში 2022

Wir helfen
hier und jetzt.

ASB
Arbeiter-Samariter-Bund

www.asb.ge

სარჩევი

ჩვენ ვართ 4

სოციალური და სოციო-ეკონომიკური განვითარება 6

„გენდერული და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერა“ 8

კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრი 10

ერთად შევძლებთ 14

უკრაინელების ფულადი მხარაჭერის პროგრამა 16

გამოზამთრების პროგრამა 17

საზაფხულო სკოლა 18

საქართველოს სამარიტელთა კავშირი (სსკ) 20

ჩვენ ვართ

ორგანიზაცია სახელწოდებით არბაითერ-სამარიტერ-ბუნდი, თუმცა ხშირად გვიწოდებენ ASB-ს. ვართ გერმანიიდან და გვაქვს საქმიანობის ხანგრძლივი ისტორია, კონკრეტულად კი 131 წელი. საქართველოში საქმიანობა 90-იანი წლებიდან დავიწყეთ, ვასრულებდით ჰუმანიტარული დახმარების მისიას ომისა და სიღარიბის შედეგად დაზარალებული ადამიანებისთვის. 1997 წლამდე პერიოდში **34 000** ადამიანზე მეტს დავეხმარეთ, რა მიზნითაც ორგანიზაციის მიერ **7,500,000** ევროზე მეტი გაიხარჯა.

2010 წელს ისევ დავბრუნდით საქართველოში განსხვავებული მისიით, რომელიც მიზნად ისახავდა სოციალური სერვისების გაძლიერებას, იძულებით გადაადგილებულ პირთა მხარდაჭერას, და კატასტროფების რისკის შემცირების (iDRR) ჩართულობით პროცესს; ასევე, მხარს ვუჭერდით საქართველოს სამარიტელთა ასოციაციას (სსკ). 2010 წლიდან ASB-მ განახორციელა **28** პროექტი, რაზეც გაიხარჯა **7,655,000** ევროზე მეტი. მთლიანობაში, საქართველოს მასშტაბით **755,000** ადამიანზე მეტს გავუწიეთ დახმარება.

ჩვენ ვახორციელებთ პროექტებს, რომლებიც მიზნად ისახავს ადგილობრივი საზოგადოების გაძლიერებას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვას, კონფლიქტით დაყოფილ თემებს შორის ნდობის მშენებლობას, სამოქალაქო ჩართულობას სოციალური პოლიტიკის შემუშავებაში და ქალთა გაძლიერებას.

დონორები და პარტნიორები 2022 წელს

- ევროკავშირი;
- გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო;
- Aktion Deutschland Hilft;
- საქართველოს სამარიტელთა კავშირი;
- საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი “აფხაზეთი”;
- კახეთის რეგიონული განვითარების ფონდი;
- საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო;
- სომხეთის ჯანდაცვის სამინისტრო;
- სურბ-გრიგორ ლუსავორიჩი სამედიცინო ცენტრი;
- საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური;
- სომხეთის საგანგებო სიტუაციების სამინისტრო;
- ერთად რეალური ცვლილებებისთვის;
- აფხაზინტერკონტი;
- ღია სივრცე კავკასია;
- მედია ცენტრი კახეთი;
- უფლებები საქართველო;
- გავერთიანდეთ ერთად.

2022 წელს, ASB საქართველომ პარნიორებთან ერთად:

იურიდიული დახმარება გაუწია 225-ზე მეტ ქალს;
უზრუნველყო ჰუმანიტარული დახმარება 4050 უკრაინელისთვის;
გადაამზადა 330-ზე მეტი ადამიანი;
მხარი დაუჭირა 9 პარტნიორ ორგანიზაციას.

სოციალური და სოციო-ეკონომიკური განვითარება

სოციალური და სოციო-ეკონომიკური განვითარების მიმართულების ფარგლებში, ASB საქართველომ ევროკავშირის მხარდაჭერით წარმატებით განახორციელა პროექტი - **პარტნიორობა ჩართულობითი პოლიტიკის შესაქმნელად,** 2018-2022 წლებში. პროექტი მიზნად ისახავს სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობისა და პარტნიორობის გაზრდას ადგილობრივი სოციალური პოლიტიკის შემუშავებაში, განხორციელებასა და მონიტორინგში. პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა სოციალურ საკითხებზე საჯარო და კერძო სტრუქტურებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც პროექტის პარტნიორმა ორგანიზაციამ - სამოქალაქო ინიციატივამ დააარსა 60+ კლუბი - ხანდაზმულთა ჯანსაღი დაბერების სივრცე. კლუბი ადგილობრივ ხანდაზმულებს სთავაზობს სოციალიზაციის მრავალფეროვან სერვისებს. და უშუალოდ რთავს მათ აქტივობებში. პროექტის ფარგლებში, წარმატებული ადვოკატირების კამპანიის შედეგად, 60+ კლუბს, აქვს სიღნაღის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერა.



„ადგილობრივ ხანდაზმულებს ყოველთვის ექნებათ ადგილი, სადაც თავს დაცულად და აქტიურად იგრძნობენ, აქ მათ ექნებათ სოციალიზაციისა და საკუთარი ინიციატივების განხორციელების საშუალება“

საერთაშორისო კონფერენცია „ინვესტიციის საზოგადოებრივი ეფექტი“ (SROI)

2022 წელს, ASB საქართველომ ამავე პროექტის ფარგლებში უმასპინძლა საერთაშორისო კონფერენციას „ინვესტიციის საზოგადოებრივი ეფექტი“ (SROI).

ღონისძიების მიზანი გახლდათ საქართველოში ინვესტიციის საზოგადოებრივი ეფექტის კონცეფციის გაცნობა და მისი შესახებ ცნობიერების ამაღლება სამოქალაქო, სახელმწიფო და აკადემიური სექტორის წარმომადგენლებს შორის. უცხო ქვეყნის მოწვეულმა ექსპერტებმა, ადგილობრივ საზოგადოებას გაუზიარეს საკუთარი გამოცდილება. ამასთანავე, მონაწილეებმა იმსჯელეს ინსტრუმენტის საქართველოში უფრო ფართოდ დანერგვის შესაძლებლობებზე.

კონფერენციის მსვლელობისას SROI-ის ექსპერტებმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინეს პროექტის ფარგლებში შესრულებული კვლევა , რაც მოიაზრებდა ხსენებული ინსტრუმენტით ქვე-გრანტების სოციალური გავლენის შეფასებას. ღონისძიებას ჯამში 80 ადამიანი დაესწრო.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ ჩათვალა სასარგებლოდ და გაითვალისწინა პროექტის მიერ შეთავაზებული 7 რეკომენდაცია

პროექტის ფარგლებში, 491 ადამიანმა მიიღო სხვადასხვა სახის სოციალური სერვისი

100-ზე მეტ ადამიანს გაეზარდა შესაძლებლობა პროექტის ფარგლებში ჩატარებული ტრენინგების შედეგად

გენდერული და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერა

პროექტის უმთავრესი მიზანია სამოქალაქო საზოგადოების როლის გაძლიერება და მისი პოზიციონირება, როგორც **გენდერული და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური ძალა, ამასთანავე, მსხვერპლთა ფსიქოლოგიური, სამართლებრივი და ეკონომიკური მხარდაჭერა.**

პროექტი მუშაობს სამი ძირითადი მიმართულებით:

1) **საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესება:**

- შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მონიტორინგი;
- უცხოური გამოცდილებისა და ადგილობრივი პრაქტიკის შესწავლა.
- ადვოკატირება.

2) **ცნობიერების ამაღლება:**

- ქალთა ქსელის შექმნა;
- ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები ქალების გაძლიერების მიზნით;
- საკომუნიკაციო კამპანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და მავნე სტერეოტიპებისაგან განთავისუფლების მიზნით.

3) **მხარდაჭერა.**

- სამართლებრივი დახმარების ცენტრები, ცხელი ხაზი, სამართლებრივი დოკუმენტების მომზადება, სამართალწარმოება ადმინისტრაციულ ორგანოებში;
- პროფესიული განათლების ტრენინგები, ფინანსური მხარდაჭერა მცირე ბიზნესისა და სოციალური საწარმოებისათვის.
- ფსიქოლოგიური მხარდაჭერა.



სამართლებრივი დახმარების ცენტრები საქართველოში

კეთილდეღობისა და განვითარების ცენტრი

კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრის იდეა 1995 წელს გაჩნდა, როდესაც ორგანიზაციის დამფუძნებელი თინა ბრეგვაძე რეაბილიტაციის მიზნით ერევნის სარეაბილიტაციო ცენტრში იმყოფებოდა. კარდაკარ სიარულის, მოტივაციის, უსაზღვრო ძალისხმევისა და სამოქალაქო ჩართულობის შედეგად, 6 წლის შემდეგ ქალაქ გორში კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრი დაარსდა. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც საქართველოში სულ რამდენიმე ასეთი ცენტრი იყო.

ASB-ს ხელშეწყობით, დაიწყო პროექტი, რომლის ფარგლებშიც ფიზიოთერაპევტების, სოცმუშაკების, ფსიქოლოგებისა და ნევროპათოლოგებისაგან დაკომპლექტებული მულტიდისციპლინური გუნდი შეიქმნა, რომელიც კარდაკარ დადიოდა გორის რაიონის 10 მაღალმთიან სოფელში და ბენეფიციარებს სხვადასხვა სერვისს სთავაზობდა. მათ თავდაპირველად ბენეფიციართა საჭიროებები შეისწავლეს. მოკვლევის შემდეგ კი, შეიმუშავეს გეგმა და 10 სოფელში კვირაში ორჯერ ჩადიოდნენ ბენეფიციარების დასახმარებლად.

„იყო შემთხვევები, როდესაც ბენეფიციარი მარტოხელა მწოლიარე ადამიანი გახლდათ და მას ესაჭიროებოდა ნაწოლების დამუშავება, რაც ამ ადამიანებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახლდათ. პროექტის ფარგლებში ბენეფიციარებთან მიგვქონდა საკვები, პროდუქტები, ჰიგიენის საშუალებები. პროექტის დახმარებით რამდენიმე ახალგაზრდას ჩვენს დღის ცენტრში დავაწყებინეთ სიარული და სოციალურ საწარმოში დავაწყებინეთ მუშაობა. პროექტი ორგანიზაციის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და ღირებული გამოცდილება გახლდათ“ - ამბობენ ცენტრში

დღის ცენტრში 25 ბავშვს ადგილობრივი მუნიციპალიტეტი აფინანსებს. ცენტრის ძალისხმევითა და ჩართულობით, ასევე მრავალწლიანი გამოცდილებისა და შრომის შედეგად, მას აქვს მუდმივი მხარდაჭერა და მჭიდრო თანამშრომლობა მუნიციპალიტეტთან. ცენტრის აქტივობები ყოველთვის არის ცალსახა, ნათელი, საზოგადოებისა და მუნიციპალიტეტისათვის გამჭვირვალე.

„სამოქალაქო აქტივიზმი ძალიან მნიშვნელოვანია არამხოლოდ იმისათვის, რომ შშმ პირმა იგრძნოს თავი საზოგადოების სრულფასოვან წევრად, არამედ ნებისმიერმა ჩვენგანმა. ის არის ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც არასდროს არ უნდა გაჩერდეს. ის სულ უნდა ვითარდებოდეს, ხორციელდებოდეს და მუდმივად უნდა იყოს მხარდაჭერილი. რაც უფრო მეტი ადამიანი, ორგანიზაცია და მეტი საინიციატივო ჯგუფი იმუშავებს სამოქალაქო აქტივობის გაზრდაზე, მით უფრო დადებითად იმოქმედებს ეს ყველაფერი საზოგადოებისა და დემოკრატიის მშენებლობაზე“, — აღნიშნავენ ცენტრში.

ორგანიზაციის დამფუძნებელთა უმრავლესობა შშმ პირია. რეგიონული ორგანიზაციის ჩამოყალიბებას ენთუზიაზმით აღსავსე ადამიანებმა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ძალისხმევამ შეუწყო ხელი. მათი მიზანი შშმ პირთა სოციალური რეაბილიტაცია, მათი უფლებების დაცვა და დასაქმებაა. პირველი აქტივობა სპორტული მარათონი გახლდათ, რომლის

ფარგლებშიც ეტლით მოსარგებლე პირები ქალაქში ერთიანი ძალით გამოვიდნენ და მსვლელობა მოაწყვეს.

ცენტრის ძალისხმევით, გორის მუნიციპალიტეტი საქართველოში პირველი გახდა, რომელმაც გამოიჩინა ინიციატივა და დაასაქმა 5 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. მუნიციპალიტეტის შენობასთან მოეწყო პანდუსი, წლების წინ დასაქმებული ადამიანები კვლავ იქ მუშაობენ და მათი რაოდენობაც მუდმივად იზრდება.

ერთად შევძლებთ

2022 წელს, ASB საქართველომ რამდენიმე პროექტი განახორციელა მისი ერთ-ერთი მთავარი მიმართულების - ჰუმანიტარული რეაგირების ფარგლებში. პროექტი **ერთად შევძლებთ - თანამშრომლობა გადაუდებელი სიტუაციებისას რეგიონში**, დაფინანსებულია ევროკომისიის გენერალური დირექტორატის ევროპის სამოქალაქო დაცვისა და ჰუმანიტარული დახმარების ოპერაციების (DG ECHO) მიერ და მიზნად ისახავს კატასტროფის რისკის მართვის სისტემის გაუმჯობესებას, შესაძლებლობების განვითარებასა და ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის მექანიზმების შექმნას, განსაკუთრებული ფოკუსით სომხეთსა და საქართველოში საგანგებო სიტუაციების დროს ჯანდაცვის მიმართულებაზე.

პროექტის შედეგად, საქართველოსა და სომხეთში გადაუდებელი დახმარების სამედიცინო ჯგუფების (EMT) შექმნა, რომელიც დააკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ განსაზღვრულ სტანდარტებს და გაივლის გლობალური კლასიფიკაციის პროცესს. აღნიშნული ჯგუფები მზად იქნებიან, მხარი დაუჭირონ საქართველოსა და სომხეთის, ასევე მეზობელი ქვეყნების ჯანდაცვის ეროვნულ სისტემებს სხვადასხვა საგანგებო სიტუაციის დროს.

2022 წელს განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი აქტივობა: **ექსპერტთა გაცვლითი პროგრამა** გერმანიაში, ვორმსში, სადაც გადაუდებელი დახმარების სამედიცინო ჯგუფის 6 წევრს მიეცა უნიკალური შესაძლებლობა გაცნობოდა ყველა საჭირო ინფრასტრუქტურასა და აღჭურვილობას და მონაწილეობა მიეღო დაგეგმილ სიმულაციებში. **ბრიტანეთში სასწავლო ვიზიტი**, ექსპერტიზისა და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას დახმარების სამედიცინო ჯგუფების ეფექტური ფუნქციონირების მხარდასაჭერად. **ტრენერთა ტრენინგი**, რომელიც მოიცავდა გადაუდებელი დახმარების სამედიცინო ჯგუფების ინიციატივების თეორიულ და პრაქტიკულ მაგალითებს, FAST კონცეფციას, მონაცემთა შეგროვებას, ფსიქოლოგიური ჯანმრთელობასა და ინფექციის პრევენციასა და კონტროლს.

ტრანსსასაზღვრო სემინარი - მიზნად ისახავს სომხეთისა და საქართველოს გადაუდებელი დახმარების სამედიცინო ჯგუფებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებასა ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის გეგმის შემუშავების მეშვეობით.



უკრაინელების ფულადი მხარდაჭერის პროგრამა

უკრაინის ომმა ბევრი ადამიანი აიძულა დაეტოვებინა საკუთარი სახლი და თავშესაფარი სხვაგან ეძებნა. ათიათასობით უკრაინელმა ლტოლვილმა საქართველოს შეაფარა თავი. ამ ადამიანების დასახმარებლად, გერმანიის ფედერალური საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით, ASB-მ დაიწყო უკრაინელების ფულადი მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს მრავალფუნქციური ფულადი სახსრებით დახმარებას. საჭიროებების შეფასების საფუძველზე, ASB საქართველომ, გავერთიანდეთ ერთად (UT)და საქართველოს სამარიტელთა ასოციაციასთან (სსკ) ერთად, დაიწყო ფულადი დახმარების გაცემა (2022 წლის სექტემბერ-დეკემბერში, 235 ლარი, ხოლო 2023 წლის იანვრიდან 255 ლარი) მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებზე.

2022 წელს ოთხი ფულადი გადარიცხვა განხორციელდა 2896 უნიკალური პირისთვის (1144 ოჯახი). ბენეფიციარები ცხოვრობენ საქართველოს 57 დასახლებაში,მათ შორის უმრავლესობა თბილისში (დედაქალაქში), ბათუმსა და ქუთაისში.

ოჯახი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის წევრით

ოჯახი 60+ ასაკის წევრით

მრავალშვილიანი ოჯახი (3 ან მეტი ბავშვი)

მარტოხელა მშობლის მიერ მართული ოჯახი

პროექტის ბენეფიციართა კრიტერიუმები შემუშავდა, გაიარა ტესტირება და დაინერგა ელექტრონულ სისტემაში Central Ukrainian Recipient List (CURL), რომელიც შემუშავდა ბენეფიციართა დასარეგისტრირებლად და მონაცემთა ანალიზისთვის.

სისტემა უზრუნველყოფს ოპერაციულ მენეჯმენტსა და კოორდინაციას ფულად დახმარებაზე დაფუძნებული ინტერვენციის (CBI) პარტნიორებს შორის. სისტემა ასევე ამოწმებს დუბლიკატებს და ავლენ თაღლითობის ნიშნების მქონე აპლიკაციებს.

„მადლობელი ვართ ASB საქართველოს და მთელი ქართული საზოგადოების მხარდაჭერისთვის. ეს გვაძლევს მომავლის დიდ იმედს ყველა ჩემი შვილისასთვის. კიდევ ერთხელ მადლობა“ - ნატალია, მრავალშვილიანი ოჯახის დედა (ოფიციალური აღმზრდელი) უკრაინიდან

ჰრესნიკები - უკრაინელი ოჯახის დამხმარეები

ჰრესნიკები, ტრადიციული უკრაინელი ოჯახის დამხმარეები, ფულადი მხარდაჭერის პროგრამის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ. ჰრესნიკები რეგულარულად მუშაობენ პროექტის ბენეფიციარებთან და სოციალური მხარდაჭერის მიზნით. მათ მიერ მიწოდებული ინფორმაციის, რჩევებისა და მხარდაჭერის შედეგად ამ ადამიანების ცხოვრება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ჰრესნიკების მხარდაჭერა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ადამიანებისთვის რომელთაც უწევთ ცხოვრების ნულიდან დაწყება რომელთა მომავალი გაურკვეველია და წარსულის ტრაგედიები პიროვნების დესტაბილიზაციას ახდენს. პროექტის ფარგლებში, ჰრესნიკებმა სოციალური დახმარება გაუწიეს 1141 ოჯახს. ისინი რეგულარულად ეხმარებიან უკრაინელებს ყოველდღიური საჭიროებების გადაჭრასა და ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესში.

ჰრესნიკების უნარების გაუმჯობესებისა და დახმარების ეფექტურად უზრუნველყოფის მიზნით, ჩატარდა რამდენიმე ტრენინგი: ბენეფიციარების რეგისტრაცია და ვერიფიკაცია,შინ მოვლის სერვისი, პირველადი დახმარება, კომუნიკაცია, CURL მონაცემთა ბაზაში მუშობა, ქცევის კოდექსი და სექსუალური ექსპლუატაციის, ძალადობისა და შევიწროების თავიდან აცილების (PSEAH) პოლიტიკა. ამასთანავე, ჰქონდათ რეგულარული შეხვედრები ფსიქოლოგთან.

გამოზამთრების პროგრამა

2022 წლის ნოემბერში ჩატარდა კვლევა ზამთრის საჭიროებების შესახებ. მისი მთავარი მიზნები იყო:

- უკრაინელების მზაობა ცივ თვეებში მზარდი კომუნალური ხარჯების დასაკმაყოფილებლად;
- უკრაინელების საჭიროებების დადგენა ბინის ქირის ზრდის ფონზე.

2022 წლის დეკემბერი - 2023 წლის მარტში კვლევის შედეგების საფუძველზე, ASB საქართველომ ფულადი დახმარება (თვეში 150 ლარი) გაუწია მოწყვლად უკრაინელ ოჯახებს გაზრდილი კომუნალური გადასახადების დასაფარად. 2022 წლის დეკემბერში 670 უკრაინულმა ოჯახმა მიიღო ფულადი დახმარება

კრიტერიუმები	დეკემბერი, 2022
A (ოჯახები შეზღუდული შესაძლებლებების მქონე წევრით)	
B (ოჯახები 60+ წევრით)	
C (ოჯახები 3 ან მეტი ბავშვით)	
D (მარტოხელა მშობლის მიერ მართული ოჯახი)	
A	208
B	253
C	33
D	176
სულ	670 ოჯახი

საზაფხულო სკოლა

2022 წელს, ჩატარდა საჭიროებების კვლევა უკრაინელების მდგომარეობის შესასწავლად საქართველოში.
ერთ-ერთი შედეგი იყო ბავშვთა და არასრულწლოვანთა გაზრდილი საჭიროებები, რაც მოიცავდა ახალ მასპინძელ ქვეყანაში ინტეგრაციის აუცილებლობას, მათი გარემოს ნორმალიზებას, თამაშის უფლების და ბავშვად/არასრულწლოვანად ყოფნის უფლების უზრუნველყოფას.

პროექტი განხორციელდა სამი ძირითადი მიმართულებით:
1) ენობრივი უნარების გაუმჯობესება - რაც უზრუნველყოფს ურთიერთობის გაუმჯობესებას ქართველ და უკრაინელ ბავშვებს შორის.

2) უკრაინელი ბავშვებისთვის პროფესიონალის მიერ ჩატარებული საკონსულტაციო სესიები;

3) ქართველი და უკრაინელი ბავშვებისა და არასრულწლოვანთა ინტერესთა ჯგუფების ფორმირება, რაც უზრუნველყოფს გამარტივებულ ურთიერთობებს ასაკისა და სქესის მიხედვით დაყოფილ ჯგუფებში.

პროექტის ფარგლებში, ბავშვებმა გარკვეული დრო გაატარეს არსებული რეალობისა და ომისგან გამოწვეული სტრესისგან თავისუფალ გარემოში. პროექტის მთავარი მიზანი იყო უკრაინელი ბავშვების ახალ გარემოში ინტეგრაციისა და სტრესული გამოცდილების დაძლევაში დახმარება, ასევე უკრაინელ და ქართველ ბავშვებს შორის კომუნიკაციის გაძლიერება, ენების შესწავლა, გართობა და მრავალფეროვნების შემოტანა მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

190 უნიკალური ბენეფიციარი დაესწრო პროექტის აქტივობებს

ჯამში ჩატარდა 168 გაკვეთილი და დამატებით 1 კვირიანი ლაშქრობა

მონაწილეთა 85% დაესწრო ენის კურსებს



საქართველოს სამარიტელთა კავშირი (სსკ)

სსკ დაარსდა 1992 წელს, ASB-ის ინიციატივით. 1990-იან წლებში ორი ორგანიზაცია, ერთმანეთთან მჭიდრო თანამშრომლობით, ძირითადად ჰუმანიტარულ დახმარებას ახორციელებდა. ASB-სა და სსკ-ს თანამშრომლობა დღესაც გრძელდება, ერთობლივი სოციალური პროექტების სახით. ASB საქართველოსთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, სსკ ახლად შეძენილ პარტნიორთან Unite Together - UT-თან, რომელიც საქართველოში 2022 წელს დაარსდა, ახორციელებს პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს უკრაინელი მოქალაქეების დახმარებას საქართველოში.

2013 წლიდან საქართველოს სამარიტელთა კავშირი (სსკ) ახორციელებს ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამას ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ კავშირში. ლაგოდეხის ცენტრში ბავშვების რაოდენობა 2021 წელთან შედარებით გაიზარდა. ამ დროისთვის ცენტრის მომსახურებით 22 ბავშვი სარგებლობს. 2022 წლის განმავლობაში სსკ-ის სპეციალისტებმა ჩაატარეს 2112 ვიზიტი, მათ შორის 208 ჯგუფური ტრენინგი.

სსკ-ამ მსგავსი სერვისები ქალაქ გორშიც დაიწყო. მრავალწლიანი მუშაობის შედეგად, მნიშვნელოვნად შეიცვალა მშობლების დამოკიდებულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე შვილების მიმართ. უფრო მეტი მშობელი აცნობიერებს სიტუაციას და მიმართავს სახელმწიფოს მხარდაჭერისთვის.

ASB გერმანიასთან ერთად, სსკ-ამ წარუდგინა ფედერალურ საგარეო საქმეთა სამინისტროს პროექტის მონახაზი, რომელიც ეხება პროფესიულ კურსებს პანკისის ხეობაში ქალთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის გაფართოებას აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებთან. პროექტი 2022 წლის აგვისტოში დაიწყო და 150 ბენეფიციარს ემსახურება.

სსკ-ამ ასევე დაიწყო ახალი პროექტები უკრაინელებისთვის საქართველოში. პროექტის ფარგლებში, გადამზადდა შინმოვლის ჯგუფის 22 წევრი - ჰრესნიკები, მოვლის უნარ-ჩვევებისა და პირველადი დახმარების განხრით. სსკ ყოველთვიურად აკვირდებოდა მათ ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ჯანმრთელობას, ზედამხედველობდა ვიზიტებს ბენეფიციარებთან. სსკ ასევე მჭიდროდ იყო ჩართული საზაფხულო სკოლის პროექტში, უზრუნველყოფდა სივრცეს გაკვეთილებისა და სპორტული აქტივობებისთვის.

ადრეული ინტერვენციის სერვისი ლაგოდეხში

ადრეული ინტერვენციის სერვისი გორში

მობილური შინმოვლის სერვისი გორში

საზაფხულო სკოლა

განათლება, როგორც შესაძლებლობა ქალებისთვის პანკისის ხეობაში

უკრაინელების მხარდაჭერა

ვებ-გვერდი: www.sskgeo.org ელექტორნული ფოსტა: info@sskgeo.org ტელეფონი: +995 599 50 62 29 მისამართი: ვიქტორ დოლიძის #2